

**მცირე და საშუალო წარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის
(მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

2022 წელი

შპს მზიანი მოსავალი

ს/კ 405105005

შპს მზიანი მოსავალი სერვისი

ს/კ 406283052

ანგარიშგება მომზადებულია:

02.10.2023

სარჩევი

	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
შემოსავლის ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	6
ზოგადი მიმოხილვა საწარმოს შესახებ	6
ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და საადრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	2022	2021	2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	*1	230,000	1,045,000	29,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		317,000	96,000	299,000
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		72,000	174,000	183,000
მარაგები		1,132,000	967,000	518,000
მზა პროდუქცია		722,000	659,000	215,000
სხვა		410,000	308,000	303,000
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-	14,000	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		8,000	9,000	16,000
ძირითადი საშუალებები	*2	4,262,000	2,942,000	4,337,000
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		247,000	509,000	292,000
სულ აქტივები		6,268,000	5,756,000	5,674,000
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები		245,000	561,000	188,000
ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		50,000	3,000	6,000
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	20,000
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		5,699,000	2,984,000	2,162,000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		2,510,000	4,401,000	2,720,000

მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები		385,000	604,000	501,000
სულ ვალდებულებები		8,889,000	8,553,000	5,597,000
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		2,879,000	2,879,000	2,879,000
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(6,293,000)	(6,062,000)	(2,962,000)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		793,000	386,000	160,000
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		(2,621,000)	(2,797,000)	77,000
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		(2,621,000)	(2,797,000)	77,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,268,000	5,756,000	5,674,000
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,755,000	2,128,000	865,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,994,000	3,548,000	2,376,000

კონსოლიდირებული შემოსავლის, ხარჯების და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ლარი)

საქმიანობის შედეგები	2022	2021
ნეტო ამონაგები	1,838,000	417,000
საქონლის გაყიდვიდან	1,735,000	362,000
მომსახურების გაწევიდან	103,000	55,000
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(1,366,000)	(1,143,000)
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	472,000	(726,000)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	247,000	334,000
დასაქმებულთა ანაზღაურება	(578,000)	(410,000)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(6,000)	(9,000)
საპროცენტო შემოსავალი	8,000	8,000
საპროცენტო ხარჯი	(788,000)	(610,000)
იჯარის ხარჯი	-	-

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(119,000)	(112,000)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,236,000)	(799,000)
საოპერაციო მოგება	(764,000)	(1,525,000)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	29,000	7,000
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	(1,856,000)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	504,000	274,000
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(231,000)	(3,100,000)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(231,000)	(3,100,000)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(231,000)	(3,100,000)
მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	(231,000)	(3,100,000)
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მოგება (ზარალი)	-	-
მოგება / (ზარალი)	(231,000)	(3,100,000)
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	(231,000)	(3,100,000)
არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(231,000)	(3,100,000)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(2,797,000)	77,000
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	407,000	226,000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(2,621,000)	(2,797,000)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა (ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(417,000)	(974,000)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,003,000)	(1,127,000)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	605,000	3,115,000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(815,000)	1,014,000
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	2,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1,045,000	29,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	230,000	1,045,000

1. ზოგადი მიმოხილვა საწარმოს შესახებ

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მზიანმა მოსავალმა (შემდგომში „კომპანია“) დააფუძნა და დაარეგისტრირა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2019 წლის 14 ივნისს შვილობილი კომპანია მზიანი მოსავალი სერვისი როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 406283052

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ისნის რაიონი, ვ.ჯორბენაძის ქ., №37, კომპანიის მფლობელი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის არის შპს მზიანი მოსავალი (ს/ნ 405105005) - 100%

დირექტორი - ვლადიმერ ლეპჩინსკი (54080707755, EF 5417284, პოლონეთი)

შპს მზიანი მოსავალი სერვისის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ინვესტირების, აგრეგატების და დანადგარების იჯარა.

წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გაცვლითი კურსით. ანგარიშგების პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით. ანგარიშგებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსები არის შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
ევრო/ლარი	2.8844	3.5040

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

შპს-ს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გამოყენებულია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“;
- “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები” (ფასს)

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ძალაშია 2019 წლის 14 ივნისიდან და გამოყენებულია საწარმოს ფუნქციონირების მთელ პერიოდში.

სააღრიცხვო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს ფასს-ის, ბასს-ის ან ინტერპრეტაციების მოთხოვნების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შესაბამისად საწარმოს თავისებურებებიდან გამომდინარე შემუშავებული სამუშაო ანგარიშთა გეგმით.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული პროგრამის “ორის-ბუღალტერიის” გამოყენებით.

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია ფინანსური ჯგუფი და კომპანიის დირექტორი.

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ფულადი სახსრების აღრიცხვა

ნებადართულია ნაღდი ანგარიშსწორებით ოპერაციების განხორციელება.

მიმდინარე წელს სალაროს შემოსავალი მხოლოდ მშობელ საწარმოს უფიქსირდება. შვილობილ კომპანიას არ ჰქონია სალაროს მოძრაობა.

სავაჭრო და მოთხოვნების აღრიცხვა

მოთხოვნები მიწოდებიდან ბალანსში აისახება ნეტო თანხით ანუ საექვო მოთხოვნების თანხის გამოკლებით;

საექვო მოთხოვნების ანარიცხების თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ნაშთად დარჩენილი მოთხოვნებიდან სავარაუდო დაფარვის თარიღის და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

უიმედო ვალის აღიარება ხდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან წარმოებს ბუღალტერიაში წარმოდგენილი ანგარიშსწორების საბუთების საფუძველზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

შემენილი საქონელი შემოსავალში აიღება შემენის ფაქტიური თვითღირებულებით;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხება მუდმივი აღრიცხვის მეთოდით;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება FIFO ღირებულების მეთოდით;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ბალანსში აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ჩატარდება წელიწადში ერთხელ;

სასაწყობო აღრიცხვა ხორციელდება კომპანიის დაკვეთით შექმნილი პროგრამით, რაც საბოლოოდ აისახება პროგრამა „ორის-ბუღალტერიაში“.

საქონლის სასაწყობო აღრიცხვა წარმოებს პროგრამის მიერ დაგენერირებული სასაქონლო კოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებების ბალანსზე აღრიცხება ბასს 20-ს საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მიღებული გრანტის აღიარებას ნომინალური ღირებულების მეთოდით (ბასს 20 მეთოდოლოგია).

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ღირებულებიდან ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით;

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, თითოეული დასახელების მიხედვით;

ძირითადი საშუალებების ცვეთადი თანხა განისაზღვრება ნარჩენი ღირებულების გარეშე;

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების საწყის ეტაპზე განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: შენობების – 20 წლით, მანქანა – დანადგარების – 12 წლით, სოფლის მეურნეობის დანადგარები და აგრეგატები – 8 წლით, საწყობის აღჭურვილობა და ხელსაწყოები – 8 წლით, ავტომატების – 6 წლით, ხოლო საოფისე აღჭურვილობის და კომპიუტერული ტექნიკის – 3 წლით;

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და მენეჯმენტის გადაწყვეტილებით იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება წელიწადში ერთხელ ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

იჯარის აღრიცხვა

იჯარა აღრიცხება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16-ის შესაბამისად. ფასს 16-ის თანახმად გრძელვადიანი (ფინანსური) იჯარა აღიარდება გრძელვადიან აქტივებში და იცვითება წრფივი მეთოდით.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დამტკიცებული სამტატო განაკვეთების შესაბამისად.

შვებულების დღეთა რაოდენობა საოპერაციო წლის განმავლობაში განისაზღვროს 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი 30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, კაპიტალის სახით დამატებითი შენატანებისგან, რაც დამფუძნებლისგან მიღებული სესხის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით შეფასების შედეგად წარმოიქმნება, და ასევე გაუნაწილებელი მოგებისა ან დაუფარავი ზარალისაგან. წმინდა მოგების განაწილება ხდება ფინანსური ანგარიშგების შპს-ს პარტნიორის მიერ საერთო კრებაზე განხილვის დროს.

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი შედგება წელიწადში ერთხელ დასრულებული საოპერაციო პერიოდისთვის.

3. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

*1. ფული და ფულადი ექვივალენტები

		2022	2021	2020
1110	ნაღდი ფული და ექვივალენტები	-	-	2,000
1200	ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	230,000	1,045,000	27,000
		230,000	1,045,000	29,000

*2. ძირითადი საშუალებები

		2022	2021	2020
2110	მიწა	1,259,000	1,259,000	1,379,000
2130	შენობები და გზები	1,149,000	573,000	865,000
2135	მანქანა დანადგარები და წარმების ხაზები	659,000	353,000	559,000
2155	სასოფლო-სამეურნეო დანადგარები და არჭურვილობა	490,000	529,000	996,000
2160	კომპიუტერები და სხვა პერიფერიული მომწყ.	11,000	8,000	17,000
2175	სასაწყობე აღჭურვილობა და ხელსაწყოები	247,000	46,000	274,000
2180	ავტომობილები, ტრაქტორები და მსუბუქი ავტომანქანები	41,000	88,000	191,000
2121	დაუმთავრებელი მშენებლობა	406,000	86,000	56,000
		4,262,000	2,942,000	4,337,000

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა

შპს მზიანი მოსავალის
შპს მზიანი მოსავალი სერვისის
ფინანსური დირექტორი



მარიამ გრძელიშვილი